1890 წელსა, № 8 30 აპრილს.

# მწყემსი

ოფიციალური განყოფილება საქართველოს საექსარხოსოსა.

პირი.

## უმაღლესი მანიფესტი.

მოწყალებითა ღვთისათა

### ჩვენ, ალექსანდრე მესამე,

იმპერატორი და თვითმპყრობელი რუსეთისა, მეფე პოლშისა, დიდი მთავარი ფილიანდიისა და სხვათა, და სხვათა, და სხვათა.

**უცხადებთ ყველა ჩვენ მორწმუნე ქვეშევრდომთა:**

აპრილის მეექვსესა დღესა, უსაყვარლესი ჩვენი რძალი, მისი იმპერატორებითი უდიდებულესობა, დიდი მთავრინა ალექსანდრა გიორგის ასული, მეუღლე ჩვენი საყვარელი ძმისა მისი იმპერატორებითი უდიდებულესობისა დიდისა მთავრისა პავლე ალექსანდრეს ძისა, განთავისუფლებულ იქმნა მუცელქმნილებისაგან შობითა ჩვენდა ძმისწულისა და მათ იმპერატორებით უდიდებულესობათათვის ასულისა, წოდებულისა **მარიამად**.

ჩვენი იმპერატორებითი სახლობის ესეთ შეძენას მივიღებთ რა ნიშნად ღვთის მადლისა, გარდმოვლენილსა ჩვენდა სანუგეშოთ, სრულიად დარწმუნებული ვართ, რომ ყველანი ჩვენნი მორწმუნე ქვეშევრდომნი ჩვენთან ერთად აღავლენენ მხურვალე ვედრებასა კეთილ აღზრდისა და წარმატებისათვის ახლად შობილისა.

უბრძანებთ, რათა ყოველთა საქმეთა შინა, სადაცა შვენის, ეს საყვარელი ჩვენი ძმისწული, ახლად დაბადებული დიდი მთავრინა, იწერებოდეს და ინიშნებოდეს მისი იმპერატორებითი უმაღლესობად.

გამოცემულ არს ქ. გატჩინოში, აპრილის მეექვსესა დღესა, წელსა ქრისტეს დაბადებიდგან ათას რვაას ოთხმოცდა ათსა წელსა, ხოლო ჩვენის მეფობისა მეათესა.

ნამდვილსა ზედა მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის საკუთარის ხელით მოწერილია:

«ალექსანდრე».

## უკაზი მისი იმპერატორებითი უდიდებულესობისა, რუსეთის თვითმპყრობელისა, უწმიდესი და უმართებელესი სინოდისაგან,

### საქართველო-იმერეთის უწმიდესი სინოდის კანტორას.

უკაზისამებრ მისი იმპერატორებითი უდიდებულესობისა, უწმიდესმა და უმართებელესმა სინოდმა მოისმინა: წინადადება უ. სინოდის ობერ-პროკურორისა, 16 ნოემბრიდამ 1889 წლისა, № 5582, იმ შეცდომათა შესახებ, რომელთაც სჩადიან სამღვდელონი მეტრიკული წიგნების წარმოების საქმეში **ბრძანეს**: უწმიდესმა სინოდმა, დაინახა რა, რომ კონსისტორიებში მეტრიკულ წიგნებში მომხდარ შეცდომათა გასწორების შესახებ მომხდარ საქმეების წარმოების დროს კონსისტორიები უყურადღებოდ სტოვებენ ამ საქმეში დამნაშავე სამღვდელო და საეკკლესიო პირთ, ცირკულიარული უკაზით, 4 მარტიდგან 1886 წლისა № 2 განმეორებით მისწერა ეპარქიების მღვდელთ-მთავრებს, რომ მათ ფიცხელი ყურადღება მიექციათ ამ საგნის შესახებ არსებულ კანონთათვის (წეს. სას. კონსისტ. მუხ. 192 და 193). მაგრამ, გამოცდილება გვიმტკიცებს, რომ ბევრს ეპარქიებში დღესაც ხშირად ხდებიან შეცდომები მეტრიკული წიგნების წარმოების საქმეში. ერთს ეპარქიაში ამ ოთხი უკანასკნელი წლის (1886, 1887, 1888 და 1889 20 სექტემბრამდე) განმავლობაში 429 საქმე წარმოებდა მეტრიკულ წიგნებში შეცდომათა გასწორების და ამ წიგნებში დაუწერლად გამოშვებულ დაბადებულთა, ჯვარდაწერილთა და გარდაცვალებულ პირთა შესახებ. ეს ხდება მაშინ, როდესაც მეტრიკულ შთაწერილობათ ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვსთ, როგორც საბუთებს, რომელნიც კაცს ანიჭებენ სამოქალაქო უფლებას, ამიტომ ეს საბუთები თითოეული კერძო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცისათვის საჭირონი არიან ცხოვრებაში. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვსთ მეტრიკულ გამოწერილობათა დღეს, როდესაც ყველა წოდების პირნი იწვევიან სამხედრო სამსახურისათვის. ახალგაზრდა პირთა სამხედრო სამსახურში გამოწვევა სრულდება ოჯახების აღწერილობითი სიების ძალით, რომელთაც ადგენენ და ასწორებენ მეტრიკულ წიგნების შემწეობით. აქედამ ცხადია, რომ ყოველივე უსწორმასწორობა და, შეცდომა ეკკლესიის კრებულთაგან მიცემულ მეტრიკულ აღმოწერილობებში მოითხოვს დიდს შრომას და წვალებას და ხშირად იმ პირთათვის, რომელთაც ესაჭიროებათ ეს საბუთები, ცუდი შედეგი აქვსთ. მეორეს მხრით, აღნიშნული უწესოებანი აბრკოლებენ საქმის წარმოებას კონსისტორიებში, რომელთაც ამით ემატება საქმეები; ეს საქმეები არ იქმნებოდენ, თუ მეტრიკული წიგნები კანონიერად და რიგიანად სწარმოებდენ ეკკლესიის კრებულთაგან. ამ საფუძველთა ზედა უწმიდესი სინოდი, თანახმად სინოდის ობერ-პროკურორის აზრისა, ადგენს: ხელ-ახლად მიეწეროს ეპარქიის მღვდელთ-მთავრებს, რათა მათ ყურადღება მიაქციონ მათდამი რწმუნებულ სამღვდელოებას, რომ მათ კანონიერად აწარმოვონ მეტრიკული წიგნები,—და იმ შემთხვევაში, თუ მღვდელთ-მთავრები შენიშნენ ამ საქმის შესახებ შეცდომათა და დაუდევრობათა ეკკლესიის კრებულთაგან, სასტიკად მოეპყრონ მათ ძალისაგამო სახ. კონსისტ. 192 და 193 მუხ; რაიცა ეცნობოს სასულიერო უწყებას ცირკულიარული უქაზებით. დეკემბრის 23-სა დღესა 1889 წელსა.

ნამდვილ უქაზზე ხელი-მოაწერეს: ობერ-მდივანმა სმირნოვსკიმ და მდივანმა ს. რომანოვსკიმ.

---

# სია

საქართველოს საექსარხოსოს სასულიერო წოდების პირთა, რომელთაც უწმიდესი სინოდის განჩინებით, 17—25 თებერვლიდამ ამა წლისა № 322 მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ექსარხოსის, მთავარ-ეპისკოპოსის პალლადის შუამდგომლობით დაენიშნათ ერთ-დროებითი შემწეობა.

### შტატ-გარეთ მღვდლებს:

| | | მან. |
|---|---|---|
| 1) | გიორგი ჩიმაკაძეს | 70 |
| 2) | მაქსიმე სულხანოვს | 70 |

### დეკანოზების მქვრივებს:

| | | |
|---|---|---|
| 3) | მარიამ მამისოვისას | 70 |
| 4) | ანასტასია შატბეროვისას | 65 |
| 5) | მარიამ დავიდოვისას | 65 |

### მღვდლების მქვრივებს:

| | | |
|---|---|---|
| 6) | კლავდია კუზნეცოვისას | 65 |
| 7) | პელაგია ჩხატარაშვილისას | 70 |
| 8) | მარიამ ტიტვინიძისას | 60 |
| 9) | ანნა ბელიევისას | 70 |
| 10) | სიდონია ხელაევისას | 65 |
| 11) | მარიამ ცხვეთაძისას | 65 |
| 12) | თეკლე დაფქეიევისას | 65 |
| 13) | პელაგია მაჭავარიანისას | 65 |
| 14) | რაქიელ დიდებულიძისას | 65 |
| 15) | ეფემია ციმაკურიძისას | 65 |
| 16) | მარიამ ფირანოვისას | 65 |
| 17) | მარიამ მაჩხანელოვისას | 65 |
| 18) | ეკატერინე ოქროპირიძისას | 65 |
| 19) | სოფიო ტაბლიევისას | 65 |
| 20) | ეკატერინე დიდებულიძისას | 65 |
| 21) | მარიამ იგნატიევისას | 65 |
| 22) | თეკლე ტყემალაძისას | 65 |
| 23) | ევდოკია ტოგონიძისას | 65 |
| 24) | ზინოვია ლიუბიმოვისას | 65 |
| 25) | სალომე ტურკაძისას | 65 |
| 26) | ტასია ოქროპირიძისას | 65 |
| 27) | ეფემია გურგენიძისას | 65 |
| 28) | ანნა ხუციევისას | 65 |
| 29) | სოფიო თუშმელოვისას | 65 |
| 30) | დარეჯან აბაზაძისას | 65 |
| 31) | ნინო ივანიცკისას | 65 |
| 32) | დეკანოზის ქალს ნინო მამაცოვისას | 50 |
| 33) | შტატ-გარეთ დიაკონს მირიან მირიანოვს | 50 |
| 34) | „ მედავითნეს გრიგორი ფხალაძეს | 30 |

### მედავითნეების ქვრივებს:

| | | |
|---|---|---|
| 35) | მაგდან კანდელაკისას | 30 |
| 36) | ეკატერინე კოტეტოვისას | 30 |
| 37) | მარიამ მჭედლოვისას | 30 |
| 38) | ელისაბედ ონოფრიევისას | 30 |
| 39) | ეკა ასაბოვისას | 30 |

და სრულიად 2315 მ.

სწორია: მდივანი სინოდალნი კანცელარისა სუხიევი.
შევამოწმე სტოლის უფროსმა კიკნაველიძემ.

1890 წელსა, № 8 30 აპრილს.

# მწყემსი

183-1890

«მწყემსი» გამოდის თვეში ორჯერ, ყოველი თვის თხუთმეტს და ოც-და-ათ რიცხვებში.

**შინაარსი:** უმაღლესი მანიფესტი.—უკაზი უწმიდესი სინოდისა კანტორისადმი.—სია საქართველოს საექსარხოსოს სასულიერო წოდების პირთა, რომელთაც საქართველოს ექსარხოსის პალლადის შუამდგომლობით უწმიდესი სინოდიდგან დაენიშნათ ერთ დროებითი შემწეობა.—ახლად გახსნილი კერძო სამკურნალოს კურთხევა ქ. ქუთაისში 29 აპრილს.—სწავლა-განათლება თბილისის გუბერნიაში. - სასტორიო მასალა.—ახალი ამბები და შენიშვნები.—სიტყვა იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა.—სასარგებლო ცოდნა.—მღვდელთა საყურადღებოდ.—რედაქტორის პასუხი.—განცხადება.

კვირას, 29 აპრილს, ოფიციალურად გაიმართა ქალაქ ქუთაისში

**კერძო სამკურნალო**

**ს. ბ. თოფურიასი**

მოსულთა ავათმყოფთათვის

და

მუდმივ საწოლებით.

ავადმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის ცხრა საათიდამ სამ საათამდის: **შინაგანი ავათმყოფობისათვის** დანიშნულია ს. ბ. თ ო ფ უ რ ი ა. **ხირურგიულისა** და **ვენერიულისათვის**— ლ. ა. ბ ა ვ ს ე ე ვ ი. **საბებო** და **ქალის ავადმყოფობისათვის**—ექიმი-ქალი მ. ფ. ძ ა ლ ა ნ ი. **ელექტრონით ექიმობას** იკისრებს კვირაში სამჯერ (კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით) **ნაშუადღევის ხუთ საათიდამ შვიდ საათამდის** ქუთაისის **სამხედრო** საავადმყოფოს უფროსი ექიმი, საექიმო მეცნიერების დოქტორი ძ ე ი ხ ე ლ ი.

სამკურნალოსთან იქმნება გამართული კაბინეტი ავათმყოფთა დასაზელად (მასაჟისათვის) ექიმების ხელმძღვანელობით და კაბინეტი შარდისა და ნახველის გამოსაკვლევად.

ფასი ექიმობისა თითოეულ ნახვაზედ ათი შაურია. კონსილიუმი (რჩევა), რომელიც შესდგება სამკურნალოს ყველა ექიმებისაგან, ღირება 3 მანეთი. შარდის თვისებათა გამოკვლევა—ერთი მანეთი; შარდის გამოკვლევა რაოდენობის მხრით—სამი მანეთი; მიკროსკოპით გამოძიება ნახველისა—ორი მანეთი; დაზელვისა (მასაჟის), ელექტრონით ექიმობისა და აგრეთვე საავადმყოფოში დაწოლისა და მოვლის ფასი გარიგებით იქმნება.

მომსვლელ ავადმყოფებს მიიღებენ ბალახვანის ქუჩაზედ, სტეფანოვის სახლში. მუდმივი ქვეშაგებიან-საწოლიანი სამკურნალო იმყოფება ბოკერიას სახლში, ქუთაისის ბულვრის პირდაპირ.

**სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურია.**

## ახლად გახსნილი კერძო სამკურნალოს კურთხევა ქალაქ ქუთაისში 29 აპრილს.

ქალაქს ქუთაისში ამა თთვის 29 გაიხსნა კერძო სამკურნალო, რომლის დაარსება დღემდის ვერავინ ვერ ითავა, თუმცა ასეთი სამკურნალოს გახსნას დიდის სიხარულით მოელოდენ არა მარტო ჩვენი ქალაქის მკვიდრნი, არამედ მთელი ქუთაისის გუბერნიისა. ამ მშვენიერი და ძვირფასი დაწესებულების მოთავე და პატრონი არის ყველასაგან კარგად ცნობილი, ჩვენი მამულის შვილი სამსონ ბესარიონის ძე თოფურია. ჩვენმა მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ ბ. თოფურია დიდის ხნიდგან მეცადინობდა ამ კეთილი და ყველასათვის სასარგებლო საქმის დაგვირგვინებას, და აი ღვთის შეწევნით მან დღეს სისრულეში მოიყვანა თავის განზრახვა და 29 აპრილს კიდეც აკურთხა ეს სამკურნალო მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა.

29 აპრილს ქუთაისის საკრებულო ტაძარში წირვა შეასრულა მისმა ყოვლად უსამღვდელოესო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბამ, იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა ქალაქის უმაღლესი სამღვდელოების თანამწირველობით. განიცადეს დროს დღის შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა ტაძრის წინამძღვარმა მ. დეკანოზმა გაბრიელ ცაგარეიშვილმა. წირვის გათავების შემდეგ ყოვლად სამღვდელო თანამწირველი სამღვდელოებით წაბრძანდა ახლად გახსნილ სამკურნალოში, რომელიც საკრებულო ტაძრიდამ ორმოცი საჟენის სიშორეზე არის. აქ იყვნენ შეკრებილნი ჩვენი საზოგადოების ყველა წარმომადგენელნი, ქალაქის ინტელიგენცია და აუარებელი ხალხი განურჩევლად წოდებისა და სარწმუნოებისა. შენობა სამკურნალოსი მშვენივრად იყო მორთული ვარდებით და დაფნის ფოთლებით. ზალის შუა ადგილს გამართული იყო ანალოგია, რომელზედაც ესვენა ჯვარი საიაზმეთი. ყოვლად სამღვდელომ გადაიხადა სამადლობელი პარაკლისი წყლის კურთხევით. პარაკლისის შესრულების შემდეგ მისმა უსამღვდელოესობამ წარმოსთქვა რუსულს ენაზე შემდეგი სიტყვა: «საქმე, რომლისათვისაც ჩვენ დღეს თავმდაბლად მოვიწოდეთ კურთხევა ღვთისა, ფრიად საჭიროა და მისი წარმატება მეტის-მეტად სასარგებლოა არა მარტო ჩვენი ქალაქის მკვიდრთათვის, არამედ ქალაქის მახლობელ სოფლელებისათვისაც. დიდი ხანია, რაც ჩვენი ქალაქი ქუთაისი გუბერნიის ქალაქად ითვლება, მაგრამ მასში დღემდის არ მოიპოებოდა ერთი იმ უსაჭიროეს დაწესებულებათაგანი, რომელნიც რუსეთში მიუცილებლად არსებობენ არა მარტო გუბერნიის, არამედ მაზრის ქალაქებშიაც კი.

დღემდის, მართალია, ჩვენს ქალაქში არსებობდა სამხედრო სამკურნალო, რომელშიაც მრავალნი ავადმყოფნი ქალაქის მცხოვრებთაგან ზომიერ ფასად იღებდენ კურნებას, მაგრამ დღეს ეს ხსენებული სამკურნალო მთავრობის განკარგულებით გაუქმებულ იქმნა, რაისა გამო ჩვენი ქალაქის მკვიდრთა უმეტესი ნაწილი იძულებულია მიიქცეს სოფლის მატყუარა მკითხავებისადმი. ამიტომ ჩვენს ქალაქში კერძო სამკურნალოს გახსნას, ჩემის ფიქრით, ყველანი დიდის აღტაცებით და სიხარულით უნდა მიეგებონ. თუმცა ეს სამკურნალო დღეს შესაფერად ვრცელი არ არის, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ იგი თანდათან გადიდდება და გაუმჯობესდება.

სწორეთ პატივისა და ქების ღირსია დამაარსებელი ამა სამკურნალოსი! დიდი გაბედულობა და თავგანწირულებაა საჭირო, რომ ამ ჩვენს ღარიბ ქალაქში კაცმა ამისთანა საძნელო საქმის ხელის მოკიდება გაბედოს. მაგრამ ეს საქმე წმიდაა და ღმერთი, რომელიც შეეწევა ყოველივე კეთილი დაწყებულებისა და საქმისა, შეეწევა ამ კეთილ საქმესაც. ეჭვი არ არის, რომ აქაურნი მკვიდრნი მალე გაიგებენ და ჯეროვანად დააფასებენ სამკურნალოს სარგებლობას და მის საჭიროებას. აგრეთვე იმედი გვაქვს, რომ აღმოჩნდებიან ისეთი პირნი, რომელნიც ნივთიერად შემწეობას აღმოუჩენენ ამ სამკურნალოს, ხოლო ის პირნი, რომელთაც ჭეშმარიტი სარწმუნოება აქვსთ და თავის სულის ცხოვნებაზე ზრუნავენ, მოიგონებენ მაცხოვრის სიტყვებს: **სნეულ ვიყავ და მომხედეთ მე.** ამ სამკურნალოს გახსნით სწორეთ მშვენიერი შემთხვევა ეძლევა ყველას, რომ მათ აღასრულონ სახარების ერთი უმთავრესი ქველის საქმე—მოწყალება მწუხარეთადმი. და შემწეობა აღმოუჩინონ სამკურნალოს თავის შეძლებისადაგვარ».

ყოვლად სამღვდელოს მგრძნობიარე სიტყვამ მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინა ყველა დამსწრე პირზე. შემდეგ მღვდელ-მთავარმა მოასხურა სამკურნალოს ყველა ოთახები. სამკურნალოს კურთხევის შემდეგ ყოვლად სამღვდელო, სამღვდელოება და იქ შეკრებილი საზოგადოება გაემგზავრენ იმ შენობაში, სადაც გამართულია ამ სამკურნალოს ლაბორატორია, აფთექა და სხვა საჭირო მოწყობილებანი. სამკურნალოსათვის ყოველივე საჭირო ნივთები და მოწყობილებანი მოპოებულნი არიან.

სამკურნალოს ჰყავს ხუთი ექიმი. ხირურგი, რომელიც უ. თოფურიამ მოიწვია მოსკოვიდამ, უკვე მოვიდა; მასვე გამოწერილი ჰყავს აგრეთვე ერთი გამოჩენილი თვალის ექიმი. სამკურნალოში არის ექიმი ქალი.

სწორედ მისალოცავია, როგორც ბრძანა ყოვლად სამღვდელომ, ჩვენი საზოგადოებისათვის ამ მშვენიერი დაწესებულების გახსნა ჩვენს ქალაქში. ყველამ კარგად იცის, თუ რა ტანჯვა-წვალებაში ვარდება ხოლმე ზოგიერთი ავადმყოფი უბრალო სნეულებისაგან, რადგან თავის დროზე ვერ შოობს ექიმს. აგრეთვე ცხადია ყველასათვის ისიც, თუ რა ძვირად უჯდება ავადმყოფის ჭირისუფალს ექიმის სახლში მოყვანა და წამლის გამოწერა. ამ მხრით ჩვენს საზოგადოებას დიდი შეღავათი მიეცემა ხსენებული სამკურნალოს დაარსებით. ხშირად ერთსა და იგივე სნეულებაზე სულ სხვა და სხვა აზრისანი არიან ექიმები. ამიტომ საჭირო ხდება რამდენიმე ექიმის მოპატიჟება, რომ მათ ერთად გასინჯონ ავადმყოფი და მოილაპარაკონ. ვინ არ იცის, თუ რა ძვირად უჯდება კაცს რამდენიმე ექიმის მოპატიჟება ავადმყოფის გასაშინჯად და მოსალაპარაკებლად. ამ სამკურნალოში ყველას შეეძლება თავი გაასინჯოს ხუთ-ექვს ექიმს და ამისათვის გადიხადოს სულ სამი მანეთი!

მრავალი ავადმყოფი ჩამოდის ქუთაისშიდ საექიმოდ. იგინი სამკურნალოების უქონლობისა გამო იძულებულნი არიან დაბინავდენ სასტუმროებში, სადაც მათ ძალიან ძვირად უჯდებათ ბინა და სასმელ-საჭმელი. ამასაც არაფრად ჩააგდებენ ავადმყოფნი, რომ ექიმს მაინც თავის დროზე შოობდენ. დღეიდგან ყველას შეუძლია მივიდეს ამ სამკურნალოში, სადაც მას ექნება ბინა და ექიმების ძებნაც არ დასჭირდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრული იმედი გვაქვს, რომ ქუთაისის გუბერნიის სამღვდელოება შეატყობინებს თავიანთ სამრევლოებს ხსენებული სამკურნალოის გახსნას, მასთან აუხსნის და გააგებინებს ხალხს ამისთანა სამკურნალოის სარგებლობას და ამით მაინც შეეწევა თავის სულიერ შვილთ ავადმყოფობის დროს.

იმედი გვაქვს, რომ ეს სამკურნალო გაამართლებს საზოგადოების იმედს: იგი ნამდვილ შემწეობას აღმოუჩენს გაჭირვებულთა. ამის იმედი გვაქვს რადგან თვით სამკურნალოს დამაარსებელი და პატრონი ბ. თოფურია გამოცდილი და ნიჭიერი კაცია და მასთან მას გამოცდილი ექიმები ჰყავს მოწვეული სამკურნალოში.

გაუმარჯოს და ხელი მოუმართოს ღმერთმა ამ ჩვენს ნორჩს და მშვენიერს დაწესებულებას!

დეკ. დავით ღამბაშიძე.

## სწავლა-განათლება თბილისის გუბერნიაში.

სასწავლებლების რიცხვი საანგარიშო წელს იყო სულ 281. მოსწავლენი 21,924 სული, მათ შორის 15,288 ვაჟი და 6,636 ქალი. სასწავლებელნი, რომელნიც ექვემდებარებიან საერო განათლების სამინისტროს, არიან შემდეგნი: ოთხი გიმნაზია, რეალური სასწავლებელი ერთი, პროგიმნაზია სამი, საოსტატო ინსტიტუტი ერთი, წმიდა ნინოს სასწავლებელი გიმნაზიის უფლებით ერთი, საოსტატო სემინარია ოთხი, პირველ-დაწყებითი სასწავლებელი ერთი, საქალაქო სასწავლებელი ხუთი, საქალაქო პირველ-დაწყებითი სასწავლებელი ოთხი, პირველ-დაწყებითი სასოფლო სკოლა ათი, სხვა და სხვა საქველ-მოქმედო საზოგადოების სკოლა ხუთი, სკოლები, რომელსაც ინახავს თავის ხარჯით თბილისი: პირველ-დაწყებითი 7, სახელოსნო 1; სასოფლო სკოლები, რომელსაც ინახავენ თავიანთის ხარჯით სოფლის საზოგადოებანი, 73, სამრევლო სკოლები 89, კერძო სასწავლებლები 40. სამხედრო სამინისტროს უწყებისა: კადეტის კორპუსი, საიუნკრო სასწავლებელი და საფელდშერო სკოლა თითო. შინაგან საქმეთა სამინისტროს აქვს ერთი საფელდშერო სკოლა. გზათა სამინისტრო ინახავს ერთს სკოლას **желѣзно-дорожное училище**). სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსი—საბაღოსნოს სკოლა. იმპერატრიცა მარიამის უწყებისა: ამიერ კავკასიის საქალებო ინსტიტუტი. სასულიერო უწყებისა: სასულიერო სემინარია, სასულიერო სასწავლებელი სამი, საქალებო ეპარქიალური სასწავლებელი ერთი და სამრევლო სკოლები თორმეტი. ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებას აქვს ექვსი სასწავლებელი და სომეხთა სასულიერო უწყებას ერთი სემინარია.

სასწავლებლების რიცხვი რომ შევადაროთ თბილისის გუბერნიის მკვიდრთან, დავინახავთ, რომ თითო სასწავლებელზე მოვა 2,847 სული და ერთი მოსწავლე-კი 37 სულზე. მოსწავლე ქალების რიცხვი თითქმის ერთი სამად ნაკლებია მოსწავლე ყმაწვილებზე.

ეროვნობით მოსწავლენი იყვნენ: რუსები—4,041, ე. ი. 18%; ქართველები—7,245, ე. ი. 34%; სომხები—7575, ე. ი. 34% თათრები 817, ე. ი. 4% და თუშები და ფშაველები.

შთამომავლობით: თავად-აზნაურნი 4,315, სასულიერო წოდებისა 1353, მოქალაქენი 6,845, სოფლელნი 8,875, უცხოელნი 69.

მთლად გუბერნიაში ითვლება 26,000 სული თავად-აზნაური (ბეგებიც ამ რიცხვში ურევიანე, 5,600 სასულიერო წოდებისა, მოქალაქენი—138,000 და სოფლელნი—631,300 სული. მაშასადამე, ექვს თავად-აზნაურში მხოლოდ ერთი სწავლობს, სასულიერო წოდებიდგან ერთი მოსწავლე მოდის 4 სულზედ, მოქალაქეთაგან სწავლობს ერთი ოც სულზედ და სოფლელთაგან-კი ერთი 72 სულზედ.

აქ მოყვანილ ციფირებიდგანა სჩანს, რომ ყველაზედ ბევრი მოსწავლე ჰყავთ სომხებს. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ სომეხთ რიცხვი გუბერნიაში რვაჯერ ნაკლებია ქართველებზე, მაშინ სრულიად ცხადი იქნება, თუ რამდენად ჩამოვრჩენილვართ სომხებს სწავლა-განათლებაში.

სასწავლებლების შესანახად მთავრობა ჰხარჯავს წელიწადში 820,521 მან., ქალაქები—43,810 მან., სოფლები—3,910 მან., საქველ-მოქმედო საზოგადოებანი—60,897 მან., შაგირდებისაგან აღებული ფული უდრის 28,353 მან., მონასტრები იძლევიან 80,094 მან., თავად-აზნაურობა 25,728 მან., სხვა და სხვა შემოსავალი 7000 მან. და კერძო კაცთაგან შემოწირული უდრის წელიწადში 104,460 მანეთს.

მთელს გუბერნიაში სწავლა-განათლების საქმეზე იხარჯება სულ 1,178,359 მან. იმ ფულს გარდა, რომელსაც ხარჯავენ ურიები და მუსულმანები თავიანთ პირველ-დაწყებით სკოლებზე. ამას გარდა სასულიერო წოდება ჰხარჯავს წელიწადში 143,982 მან.

მაშასადამე, სწავლა განათლების საქმეზე ყველაზე ბევრს ჰხარჯავს მთავრობა, იგი შეადგენს ორ მესამედს მთელის ხარჯისას. მოსწავლეთა ეროვნობა რომ ავიღოთ, პირველი ადგილი უჭირავთ სომხებს, მეორე ქართველებს, მესამე რუსებს და შემდეგ სხვა ტომთ. წოდებათა შედარებით რომ ავიღოთ პირველი ადგილი უჭირავთ: სასულიერო წოდებას, მეორე თავად-აზნაურობას, მესამე მოქალაქეთა და უკანასკნელი რუსობას. («ივერია»).

# საქართველოს ძველი დროის ნაშთები წმიდა ქვეყნებში და სინას მთაზე.

(გაგრძელება).

მეცამეტე საუკუნის ნახევარში მაჰმადიანებმა წაართვეს ქართველებს ჯვარის მონასტერი და გადააკეთეს იგი მეჩიტად, მაგრამ 1305 წელში ეს მონასტერი ხელახლად დაუბრუნდათ ქართველებს როგორც მათი საკუთრება. აი ამის შესახებ რას ამბობს მოსლემანთა ერთი მწერალი: «ტაძარი წმიდა ჯვარისა, რომელიც საკუთრებაა ქართველ ძმობისა, წაერთვათ ქრისტიანებს ელმელიკ—ენ—ნასირ მუხამედის მეფობის დროს და გადაკეთებულ იქმნა მეჩიტად, მაგრამ 1305 წელსა ივლისის 24 მოვიდნენ საქართველოს და კონსტანტინეპოლის მეფეებისაგან გამოგზავნილი კაცები, რომელთაც ითხოვეს ტაძრის დაბრუნება. მათი თხოვნა იქმნა დაკმაყოფილებული და ტაძარი, შემდეგ განახლებისა, დაუბრუნეს ქრისტიანებს. ამასვე მოწმობს მარკოზი, რომელიც ამბობს: «კაირში მოვიდნენ კონსტანტინეპოლის ხელმწიფის გამოგზავნილი კაცები, რომელთაც თან ახლდათ საქართველოს მეფის კაცი. ამ გამოგზავნილმა კაცებმა მიართვეს სულთანს საჩუქრები და წერილი. ამ წერილში მეფე სთხოვდა სულთანს, რომ მას გაეღო ჯვარის მონასტრის კარები, რათა ქართველებს შეძლებოდათ ტაძარში ლოცვა. ამასთან მეფე არწმუნებდა სულთანს, რომ ქართველი ერი ყოველთვის მისი მორჩილი იქნება და შემწეობას აღმოუჩენს მასს, როცა კი ეს შემწეობა საჭირო იქმნება მათის მხრით. სულთანმა მაშინვე გააღებია ტაძრის კარები და მასთან სამადლობელო წერილი გაუგზავნა საქართველოს მეფეს. ამგვარად ბიზანტიის იმპერატორის ანდრონიკ II-ის შუამდგომლობით მოსლემანებმა დაუბრუნეს ქართველებს ჯვარის მონასტრის ტაძარი, რომელიც მეჩიტად ჰქონდათ გადაკეთებული.

1320 წელში, როგორც მოწმობენ მოგზაურნი, ქართველებს ეკუთვნოდა ჯვარის მონასტერი და მისი მშვენიერი ტაძარი. მაგრამ დროებით ამ მონასტერში დაბინავდნენ ქრისტიანეთა სხვა ხერებიც და მოსლემანები. ამ უკანასკნელთ ჯვარის მონასტრის გალავანში ჰქონდათ მეჩიტი, რომლის შესანახავად ქართველები XVII საუკუნის დასასრულამდე იხდიდნენ ხარჯს. სომხები სცხოვრებდნენ ჯვრის მონასტერში 1384, 1542, 1556 და 1561 წლებში, იაკობიტები—1508 წელში, ნესტორიანები—1565 წ., ბერძნები—1449, 1497, 1519, 1575, 1610 წლებში. სხვა დროს კი ეს მონასტერი ეჭირათ ქართველებს. ერთი პოლშელი მოგზაურის სიტყვით XVII საუკუნის დამლევს ამ მონასტერში გაუკეთებიათ ტახტი ქათალიკოსების საწირავად, სადაც ყოველს წელს დანიშნულს დროს სრულდებოდა ღვთის მსახურება.

1520 წელში მოსლემანთ, რომელთაც დაიჭირეს იერუსალიმი 1517 წელში, განუცხადეს, რომ ჯვრის მონასტერი ეკუთვნის ქართველებსაო, მაგრამ რადგან ქართველებმა ვერ გაუძლეს არაბებისაგან შევიწროებას და ძალადობას, მათ მიატოვეს ჯვარის მონასტერი და აქედგან წავიდნენ, მონასტერი კი გადავიდა იერუსალიმის პატრიარქების ზედამხედველობის ქვეშ. 1519 და 1586 წლებში მოგზაურებს უნახავთ ჯვარის მონასტრის ტაძრის კედლებზე მშვენიერი მხატვრობა: დახატულნი ყოფილან: წმიდა პატრიარქები, მოციქულნი პეტრე და პავლე, ელენე და კონსტანტინე, წმიდა გიორგი და საქართველოს ზოგიერთი მეფეები და დიდ კაცობა. XII—XVII საუკუნეების მოგზაურნი მოგვითხრობენ, რომ როგორც მონასტრის გარეშემო, ისე გზაზე იერუსალიმიდამ მონასტრამდე იყო სხვა და სხვა მცენარეობა, მაგრამ 1883 წელში, როცა მე ვიყავი ამ მონასტერში, სრულებით არასფერი მცენარეობა არ მინახავს, მხოლოდ მონასტრის მახლობელ გორებზე არის ვენახები და ერთად ერთი ალვის ხე მონასტრის გალავანში. XVI—XVII საუკუნეების მოგზაურნი მოგვითხრობენ, რომ ჯვარის მონასტერი იყო მშვენიერი და ვრცელიო. მაგრამ იგი როგორც წინეთ, ისე ეხლა უფრო ციხესა ჰგავს, ვინემ მონასტერს. იგი არის ოთხკუთხი და აქვს ერთი შესავალი კარი, რომელიც მოჭედილი არის რკინით. შენობა რამდენიმე სახურავისაგან შესდგება და აქვს მრავალი ეზოები. XVII საუკუნის დამლევს ამ მონასტერში ყოფილა 400 ბერ-მონაზონთა საცხოვრებელი ოთახი. 1643—1646 წელში ეს მონასტერი მირეულად იქმნა შეკეთებული. ყოველივე ხარჯი, რაც კი საჭირო ყოფილა მონასტრის შეკეთებისათვის, მიუღიათ თავის თავზედ არქიმანდრიტს ნიკიფორე ჩოლოყაშვილს და ლეონ დადიანს.

---

*) იხ. «მწყემსი»-ს № 7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1651 წელში თათრებმა აიღეს იერუსალიმი და მოინდომეს ჯვარის მონასტრის ჩამორთმევა ქრისტიანებისაგან, რადგან სურდათ მონასტრის მეჩეთად გადაკეთება. მაგრამ ეს სურვილი ასრულებაში ვერ მოიყვანეს. ჯვარის მონასტერს სარჩო ეძლეოდა საქართველოდგან, მაგრამ XVII საუკუნის დამლევს მონასტერს დაედვა ვალი, რადგან მონასტრის ადგილებს კარგად ვერ განაგებდენ და ამიტომ შემოსავალიც თავის დროზე არ მოდიოდა მონასტერს.

XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ჯვარის მონასტერში ყოფილა ორასამდე ბერ-მონაზონთა საცხოვრებელი ოთახი, მაგრამ ბერები კი ნაკლებად ყოფილან. ამ დროს, როგორც მოგვითხრობს რუსის ერთი მოგზაური, მონასტრის კედლებზე შიგნით ყოფილა ქართული წარწერანი და დახატულნი ყოფილან ქართველი მეფეები და პატრიარქები. საქართველოს მეფეები ითვლებოდენ როგორც ამ ჯვარის მონასტრის ისე სხვა აქაურ მონასტრების გამგედ.

დღეს ჯვარის მონასტერი გარეგანი სახით ჰგავს ციხეს და შემოზღუდულია ოთხკუთხი ქვის მაღალი კედლით, რომლის შიგნით არის მრავალი შენობა. ზოგიერთ ამ შენობებში მოთავსებულია ბერძნების სასულიერო სემინარია. მონასტრის საკრებულო ტაძარს აქვს ერთი დაბალი გუმბათი, რომელშიდაც არის დატანებული პატარა ფანჯრები. საკურთხეველში იატაკი არის დაგებული სხვა და სხვა ფერის მარმარილოს ქვით. მონასტრის მხატვრობა ძალიან გაფუჭებულია როგორც ურწმუნო მტერთაგან, ისე მონასტრის შეკეთების დროს. ამ მონასტრის მრავალ ხელნაწერთა შორის დღეს ძალიან მცირე ნაწილია დაცული მონასტერში. ხელნაწერებზე დამწერთაგან აღნიშნულია, რომ ესენი იწერებიან ქართველი ბერებისათვის და თუ ოდესმე აქ ქართველობა აღარ იქმნეს, მაშინ ეს ნაწერები დაცულ იქმნეს წმ. ჯვარის მონასტერში. ამ ხელნაწერებს ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვსთ როგორც ქართული ისე პალესტინის მწერლობის ისტორიისათვის; ამ ხელნაწერებში ცხადათ არის გამოხატული ქართველების მიმოსვლა წმ. ადგილებში.

1061 წლის ერთ ხელ-ნაწერში ჩამოთვლილნი არიან ის პირნი, რომელნიც უმეტესად ცდილობენ წიგნების წერას და თარგმნას; ამ პირთა შორის, რომელნიც სცხოვრებდენ ჯვარის მონასტერში XI საუკუნეში მოხსენებულნი არიან: პროხორე, მაკარი, მიქელა, წინამძღვარი გიორგი; ძმანი: გაბრიელ საუკარელიძე, გაბრიელი, იონა, იოანნე დვალი, ფარსმან დვალის ძე, იოანნე დვალის ძე,—მიქელა დვალი, არსენი, იბალა ვაჩნაძის ძე, და სტეფანე ტბილელი.

ჯვარის მონასტრის ხელნაწერები პირდაპირ ბერძნულიდგან არ არიან ნათარგმნი. ესენი მხოლოდ ძველი ხელთ ნაწერებიდგან არიან გადაწერილნი; ზოგიერთი კი, განსაკუთრებით ღვთის-მსახურების შინაარსიის წიგნები არიან ახლად ნათარგმნი ანუ შესწორებულნი ბერძნულ დედნებთან.

## რა დროიდგან იწყება ქართველების მიმოსვლა წმიდა ადგილებში და ანტიოქიაში?

მეოთხე საუკუნის დასაწყისში საქართველოს ახლად დაფუძნებული ეკლესია მიწერილი იქმნა ანტიოქიის საპატრიარქოსადმი. ამ დროიდგან იწყება ერთობა საქართველოს და ანტიოქიის ეკლესიებს შორის. რადგან საქართველო ახლო იყო სირიაზე და მასთან გზებიც კარგები იყო, ამიტომ ქართველებს ხშირი მიმოსვლა ჰქონდათ ხოლმე ანტიოქიაში და პალესტინაში, სანამ ამ ადგილებს დაიკავებდენ არაბნი. VII საუკუნის დასაწყისში სირიელი და ბერძნების უმაღლესი სასულიერო სამღვდელოება დიდხანს განაგებდენ საქართველოს ეკლესიის საქმეს. თუმცა 475—488 წლებში საქართველოს ეკლესია თავისუფალ და დამოუკიდებლად იქმნა აღიარებული და თავისი საკუთარი ქათალიკოსიც დაენიშნა, მაგრამ მას მაინც კიდევ ჰქონდა ერთობა ანტიოქიის პატრიარქთან. ამ ერთობის შედეგი იყო ის, რომ ანტიოქიაში დაფუძნდა ქართველი ძმობა, რომელიც ასწავლიდა ქართულს ენას სირიელი და ბერძნების საეკლესიო მოსამსახურეთ, რომლებიც შემდეგ საქართველოში ინიშნებოდენ ეკლესიის მოსამსახურებად. აგრეთვე ეს ძმობა ქართველებს ასწავლიდა ბერძნულ ენას, რომ მათ შემდეგში შეძლებოდათ ბერძნული ენიდგან საღმრთო წერილის და საეკლესიო წიგნების თარგმნა ქართულს ენაზე. საქართველოს ისტორიაში მოხსენებულია სირიელ ცამეტ ბერ-მონაზონთა მოსვლა საქართველოში მეექვსე საუკუნეში. ეს სირიელი ბერები დაბინავდენ საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში და ენერგიულად შეუდგენ მართლ-სხვა მადიდებელი სარწმუნოების გავრცელებას საქართველოში. ამის შემდეგ საქართველოს მეფის ფარსმან VI დროს (542—547) მეორედ მოვიდნენ საქართველ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოში სირიელი ბერები: წინამძღვარი იოანნე, რომელსაც თან მოჰყვა ერთი მთავარ-დიაკვანი და თორმეტი მოწაფე. მ. იოანნე თავისი მთავარ-დიაკვნით დაბინავდა საქართველოს ძველი სატახტო ქალაქის მცხეთის მახლობლად ზადენის მთაზე. აქ მ. იოანნემ წმიდა ჯვარის სახელობაზე აღაშენა მონასტერი კერპთ-თაყვანისმცემელთა დანგრეულ სალოცავის ადგილზე. ექვსი მოწაფე იოანნემ გაგზავნა ქართლში; ამ მოწაფეებმა საქართველოს სხვა და სხვა ადგილებში დააფუძნეს მონასტრები, საიდგანაც ვრცელდებოდა ქართველ ერში ქრისტიანობა და სასულიერო-ზნეობითი განათლება. ერთ ამ მოწაფეთაგანს ხშირი მიწერ-მოწერა ჰქონდა სირიელ ბერებთან. სირიელი ბერების საქართველოში მოსვლა ალბად ანტიოქიის პატრიარქის და კონსტანტინეპოლის უმაღლესი მთავრობის ნებართვით ხდებოდა. ამას ისიც ამტკიცებს, რომ ეს სირიელი მამები მოვიდნენ საქართველოში სწორედ იმ დროს, როცა საქართველოს ეკკლესია დიდს განსაცდელში იყო. ამ დროს, სახელდობ მეექვსე საუკუნის მეორე ნახევარში უთანხმოება ჩამოვარდა საქართველოს და სომხეთა ეკკლესიებს შორის, მაგრამ ხსენებული უთანხმოება საქართველოს ეკკლესიის მოსამსახურეთა ენერგიული მოქმედების მეოხებით და სირიელ მამათა შემწეობით იმითი გათავდა, რომ საქართველოს ეკკლესია დაუახლოვდა საბერძნეთის ეკკლესიას, ხოლო სომხეთა ეკკლესია მოშორდა მართლ-მადიდებლობას.

შავს მთაზე, ანტიოქიის მახლობლად, დაარსებულ იქმნენ ქართველებისაგან მონასტრები. ამ მონასტრებში სცხოვრებდა სამოცამდე ქართველი ბერი, რომელთა შორის შესანიშნავი იყო გიორგი დაყუდებული.

საქართველოს ერთობა ანტიოქიასთან და მისი მონასტრების მდგომარეობა დამოკიდებული იყო იმ ისტორიულ ცვლილებათა ზედა, რომელნიც ხდებოდნენ სირიაში. VII საუკუნის დამდეგამდე ანტიოქია ითვლებოდა ბიზანტიის ვრცელი სახელმწიფოს მაზრად და ამ დროს ქართველებიც თავისუფლად დადიოდნენ ანტიოქიაში, VII საუკუნის დასაწყისში არაბებმა აიღეს წინა აზია, რაისა გამო ქართველები თავისუფლათ ვეღარ მიდი-მოდიოდნენ ანტიოქიაში. 969 წლიდგან 184 წლამდე ეს მხარე ხელახლად ჩაიგდეს ხელში ბერძნის იმპერატორებმა. ამიტომაც XI საუკუნეში მშვენიერს მდგომარეობაში იყვნენ ქართველების მონასტრები ანტიოქიის მახლობლად. XII საუკუნეში ჯვაროსანთა დაიფლეს ანტიოქია. XIII საუკუნეში ანტიოქია აღაოხრეს მონღოლებმა; 1268 წელში ანტიოქია დაიპყრო ეგვიპტის სულთანმა ბიბარსმა. ამ დღიდგან ანტიოქია იწოდებოდა მოსლემანების ქალაქად, რომელიც XVI საუკუნეში შეადგენდა ოტომანის სახელმწიფოს საკუთრებას. ამ აოხრების დროს ფუჭდებოდნენ ქრისტიანების მონასტრები და მათ შორის ქართველებისაც.

პალესტინაში წმიდა ადგილების თაყვანის საცემლად სიარული დაიწყეს ქართველებმა იმ დროიდგან, რა დროსაც მოხდა ერთობა საქართველოს და ანტიოქიის შორის. როგორც გადმოცემა მოგვითხრობს წმიდა ნინომ იერუსალიმიდამ გამოიარა სირიაში და სომხეთში და მოვიდა საქართველოში. პალესტინაში ხშირი მიმოსვლა ჰქონდათ აგრეთვე საქართველოში მცხოვრებ ურიებსაც. გაქრისტიანების შემდეგ საქართველოს მეფე მირიანი წმიდა ნინას რჩევით გაემგზავრა იერუსალიმში, სადაც მოიპოვა ადგილი ჯვარის მონასტრის აღსაშენებლად. მირიანმა კონსტანტინეპოლში ინახულა კონსტანტინე დიდი. «ქართლის ცხოვრებაში» არასფერი არ არის ნათქვამი მეფე მირიანის პალესტინაში ყოფნის შესახებ. ერთი ბიზანტიელი საეკკლესიო მწერალი IV საუკუნისა რუფინი, თანამედროვე კონსტანტინე დიდისა ვრცლად მოგვითხრობს ქართველების გაქრისტიანებას და მასთან ამბობს, რომ ყოველივე ცნობა ქართველების გაქრისტიანების შესახებ გადასცა მას ერთმა ქართველმა სახელად ბაკურმა. ეს ბაკური, ამბობს რუფინი, ვნახე მე იერუსალიმში 50 წლის შემდეგ ქართველებისაგან ქრისტიანობის მიღებისა. იგი ძალიან ახალგაზრდა ყოფილა, როცა წმ. ნინა მისულა საქართველოში. ეს ბაკური მოწამე ყოფილა წმ. ნინას ქადაგებისა. ბაკური იყო მეფე საქართველოსი, მაგრამ მან დასტოვა მეფობა, თავის სამშობლო და იმპერატორმა თეოდოსიმ დანიშნა იგი პალესტინის უფროსად და გამგედ. იგი გარდაიცვალა 394 წელში. ამავე ფაქტს მოგვითხრობენ ბიზანტიის სხვა საეკკლესიო ისტორიკოსებიც IV საუკუნისა.

V საუკუნეში, როგორც მოგვითხრობს ქართლის ცხოვრება, იერუსალიმში იყო წმიდა ადგილების თაყვანის საცემად საქართველოს მეფე გახტანგ პირველი გორგასლანი (446—499 წწ.) მეფე გახტანგმა თან წაიყვანა იერუსალიმში თავისი დედა და და ხვარამზე. იერუსალიმში მისვლის შემდეგ მათ ილოცეს წმ. აღდგომის ტაძარში, დაიარეს ყველა წმიდა ადგილები, რომელთაც შესწირეს დიდძალი შეწირულება და შემდეგ დაბრუნდენ ანტიოქიაში.

ზემოდ აღნიშნული ფაქტების შემდეგ განა საეჭვოა კიდევ, რომ V საუკუნეში იერუსალიმში იყო ქართველების მონასტერი და მოგზაურთა მისადგომი სახლი? სარწმუნოა აგრეთვე ისიც, რომ ამ მონასტრებში ითარგმნებოდენ საღმრთო და საეკლესიო წიგნები, რომლებიც საჭირონი იყვნენ საქართველოს ახალი ეკლესიისათვის.

ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოპის სიტყვით VI საუკუნეში იერუსალიმის უდაბნოში ყოფილა მონასტერი ლაზებისა, ესე იგი იმერლებისა და მეგრელებისა.

სომხის ერთი მლოცველი სახელად ანასტასი, რომელიც იერუსალიმში ყოფილა VII ანუ VIII საუკუნის დასაწყისში, ამბობს: «წმ, იოანნეს მონასტერში დღესაც სცხოვრებენ ქართველები».

VII—VIII საუკუნეებში სინას მთაზე სცხოვრებდენ ქართველი ბერ-მონაზვნები მიხეილი და ესტატე.

IX საუკუნეში წმ. ადგილებში ყოფილა სალოცავად გამოჩენილი ქართველი მოგზაური და მლოცველი წმ. ილარიონი (829—882 წ.) და წმ. კონსტანტინე. წმიდა ილარიონის ცხოვრების აღწერაში თვითონ შემადგენელი ამბობს, რომ ქართველი წმიდანები ბევრი იყვნენ, მაგრამ იგინი დავიწყებულნი არიანო. ილარიონი შთამომავლობით ქართველი იყო, კახეთიდგან. იგი იყო შვილი სახელოვანი და მდიდარი აზნაურიშვილისა, რომელსაც ილარიონის გარდა ჰყავდა კიდევ სხვა შვილებიც. ილარიონს ამზადებდენ სასულიერო წოდებისათვის და ამიტომ ექვსი წლის შესრულების შემდეგ იგი თავის სოფელში მიაბარეს ერთ ბერს საეკლესიო წიგნების ასასწავლებლად. ყმაწვილი დიდ ნიჭს იჩენდა სწავლაში; ამიტომ ილარიონის მამამ თავის მამულში გააკეთა მონასტერი, სადაც მალე შეიკრიბა 16 ბერ-მონაზონი.

როცა წმ. ილარიონი შეიქმნა 15 წლისა, მიატოვა მშობლები და წავიდა გარეჯის უდაბნოში, სადაც მან ნახა ბევრი ბერები და მათ მახლობლად დაესახლა ერთ გამოქვაბულ კლდეში. მის გარშემო შეიკრიბა თერთმეტამდე ახალგაზდა მეუდაბნოეები. ილარიონმა მალე გაითქვა სახელი თავის წმიდა ცხოვრებით. ეს გაიგო რუისის ეპისკოპოსმა, რომელიც მივიდა ილარიონთან და აკურთხა იგი ბერად. შემდეგ ილარიონი ერთი მოწაფით გაემგზავრა წმიდა ადგილებში. მან დაათვალიერა თაბორი, იერუსალიმი, ბეთლემი, იორდანე და სავანე წმ. საბასი. აქ დარჩა ის შვიდ წლამდე. როცა სამშობლოში დაბრუნდა, ილარიონმა აღაშენა პირველად დედათა მონასტერი თავის დედისათვის. მისი მამა და ძმები გარდაიცვალენ მისი იერუსალიმში მყოფობის დროს. შემდეგ ილარიონმა აღაშენა მამათა მონასტერი, სადაც შეიკრიბა 76 მეუდაბნოე. ორივე ამ მონასტრებს შესწირა სოფლები და სახნავ-სათესი ადგილები, რომლებიც ეკუთვნოდა მის ოჯახობას. მონასტრებს მისცა საღმრთო წიგნები. დედის გარდაცვალების შემდეგ ილარიონმა წაიყვანა ორი თავის მოწაფე და გაემგზავრა კონსტანტინეპოლში იმპერატორის მიხაილის მეფობის დროს. მიხაილი იყო თეოდორეს ძე, რომელმაც აღადგინა ხატთა თაყვანის ცემა თავის დედის თეოდორეს შემწეობით; ილარიონი მივიდა ოლიმპზე და აქ დაესახლა თავის მოწაფეებით ერთ ცარიელ სამლოცველოში. ამ დროს ოლიმპზე ბევრი ქართველები იყო. ილარიონთან მივიდნენ მალე სამი ქართველი, რომელნიც დასახლებულნი იყვნენ ოლიმპთან. ერთმა ამათგანმა კარგად იცოდა ბერძნული ენა. ერთი წლის შემდეგ ილარიონმა წაიყვანა თავის მოწაფე ისაკი და გაემგზავრა კონსტანტინეპოლში წმ. სოფიის ტაძრის თაყვანის საცემლად, ხოლო ოლიმპზე დასტოვა ოთხი თავის მოწაფე. კონსტანტინეპოლიდგან ის გაემგზავრა რომში წმ. მოციქულების წმ. ნაწილთა თაყვანისსაცემად. ილარიონი დარჩა რომში ორი წელიწადი».

# ახალი ამბები და შენიშვნები.

უწმიდესი სინოდი ეპარქიის სასულიერო მთავრობათა წარმომადგენლების დახმარებით ეძიებს ღონისძიებათ, რომ შემდეგში სამრევლო სკოლებთან გამართულ იქმნას ხელოსნობის სასწავლებელი კლასები.

***

უწმიდესი სინოდის უკაზის ძალით ამიერიდგან საღმრთო სჯულის მასწავლებლად გიმნაზიებში და პროგიმნაზიებში აღარ დაინიშნებიან ის პირნი, რომელნიც სამრევლო და ან საქველმოქმედო საზოგადოებათა ეკკლესიებში არიან მღვდლად განწესებულნი. ვინც დღემდის იყვნენ დანიშნულნი, იგინი დატოვებულ იქმნებიან ამ თანამდებობაზე იმ დრომდე, ვიდრე პენსიას არ დაიმსახურებენ. იმ გიმნაზიების და პროგიმნაზიების საღმრთო სჯულის მასწავლებელნი, სადაც საკუთარი ტაძრები არ არიან, მღვდელ-მთავრებმა უნდა მიაწერონ მახლობელ ეკკლესიებს, მაგრამ მათ ხსენებული ეკკლესიის კრებულის შემოსავალში ნაწილი არ ექმნებათ.

***

საერო განათლების სამინისტრომ აუწყა სასწავლო ოლქების მზრუნველებს, რომ დაბებში და სოფლებში დასაწყისი სასწავლებლების გამართვა ექვემდებარება მთავრობას და ვისაც ამგვარი სასწავლებლის გახსნა სურს, ის ნებართვისათვის უნდა მიიქცეს ადგილობითი მღვდელ-მთავართან.

***

ამას წინად შესდგა ეკკლესიებში ქონების მართვის წესდებათა პროექტი; დღეს ეს პროექტი უკვე დაუმტკიცებია უწმიდეს სინოდს. ამ პროექტის ძალით ტაძრის ქონების მართვის საქმე მიენდობა ტაძართან არსებულ სამრევლო საბჭოს, რომლის ყოველივე განკარგულება სისრულეში უნდა მოიყვანოს ეკკლესიის მნათემ.

***

საქართველო-იმერეთის სინოდალნი კანტორის პროკურორად დაუნიშნავსთ კოსტრომის კონსისტორიის მდივანი ბ. შირსკი.

***

უმაღლესი სასულიერო მთავრობის განკარგულებით ურიებს აღკრძალული აქვსთ საეკკლესიო ნივთებით ვაჭრობა, მაგრამ ეს განკარგულება ყველგან არ სრულდება. აი ამის შესახებ რას ვკითხულობთ გაზეთ «საეკკლესიო მახარებელში»: ვლადიკავკაზში ზოგიერთი ურიები ხატებს ამზადებენ, ზოგნი აკეთებენ კუბოებს, რთვენ მათ ჯვრებით და მართლ-მადიდებელი ეკკლესიის წმ. მამების გამოხატულებით და დიდ ფულს იღებენ მართლ-მადიდებელთაგან. გარდა ამისა აქაურმა ერთმა ურიამ მ. ზოლდენბერგმა მოაწყო ბალდახინი, რომელიც მორთულია ჯვრებით და წმ. მამათა გამოხატულებით, დაიქირავა მოსამსახურეებად ურიები და თავისუფლად მარხავს მართლ-მადიდებელ გარდაცვალებულთა».

მკითხველმა თვითონ გამოიცნოს, თუ რა შთაბეჭდილებას მოახდენს მაყურებელზე, როცა მართლ-მადიდებელ მიცვალებულთ მღვდლებთან ერთად წინ მიუძღვიან ურიები.

***

1859 წელში ავაზაკებს გაუქურდავსთ მარტვილის საკათედრო ტაძარი და გაუტანიათ მღვდელ-მთავრის ოთხი პანაგია, ვეცხლის ხატები და რამდენიმე ფული. იმ დროს ეჭვი აუღიათ ერთ შენგელაიაზედ, რომლის სახლშიაც, მართლაც, აღმოჩენილა ხატები. შენგელაია გადავარდნილა და სასამართლოს ხელში ვერ ჩაუგდია. ბოლოს ამავე შენგელაიას კიდევ სხვა ქურდობაშიაც მიუღია მონაწილეობა, და როდესაც შეპყრობა ნდომებიათ, ცოცხალი არ დანებებია და მოუკლავსთ. ხატები უკანვე მიუტანიათ მარტვილის ტაძარში, მაგრამ პანაგიები ვერ უნახავსთ. შენგელაიას ოჯახის ყველა წევრნი გარდაცვლილან, მხოლოდ ერთად ერთი დედაკაცი დარჩენილა, რომელიც ამ თთვეში გარდაიცვალა. უკანასკნელს დღეს ამ დედაკაცს უამბნია ყველასათვის ის უბედურება, რაც ხსენებული ეკკლესიის გაცარცვით შეემთხვა მის ოჯახობას; მასთან უთქვამს, რომ პანაგიები ამა და ამ ხის ფუღუროში არის ჩაგდებულიო. ამ ქალის დამარხვის შემდეგ მოუჭრიათ ხსენებული ხე და ოთხივე შესანიშნავი და ძვირფასი პანაგიები შიგ აღმოჩენილა. ყველა ეს პანაგიები დღეს გურია-სამეგრელოის მღვდელ-მთავარს აქვს წარდგენილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ-ზნეობაზედ.

---

## სიტყვა,

თქმული იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის მიერ

კვირიაკესა განრღვევულისასა.

ტაბითა! აღსდეგ (საქ. მოც. 9, 40).

მაცხოვარმან უწინარეს ექვსისა დღისა მისის ჯვარცმისა და სიკვდილისა აღადგინა მკვდრეთით ოთხისა დღისა მკვდარი ლაზარე, რათა აჩვენოს ქვეყანას, რომ მისი სიკვდილი იქმნება აღდგომა ყოველთა კაცთა. დღეს პეტრე მოციქული ერთითა სიტყვითა მისითა აღადგენს ერთსა კეთილსა და მორწმუნესა ქვრივსა, ტაბითას და ესრეთ თვით საქმითა გვაჩვენებს ჩვენ, რომ ქრისტე მართლა არის აღდგომა, ცხოვრება და ცხონება ყოველთა კაცთა. განმავლობასა შინა ორმეოც დღეთა აღდგომიდან ამაღლებამდის და მეტადრე პირველი კვირიაკის განმავლობაში ეკკლესიის ყოველნი საგალობელნი და საკითხავნი, ყოველნი წესნი და თითქმის ყოველნი სიტყვანი არიან ერთი და იგივე განმეორება სხვა და სხვა ფერად ამავე სიტყვისა: ქ რ ი ს ტ ე  ა ღ ს დ გ ა. ეკკლესია ამ დღეთა შინა თითქმის დაივიწყებს ყოველთა სხვათა საღმრთოთა საგანთა, გალობათა, ქებათა, დიდების მეტყველებათა და დაუცხრომელად განიმეორებს: **ქ**რ ი ს ტ ე  ა ღ ს დ გ ა! ქ რ ი ს ტ ე  ა ღ ს დ გ ა! რისთვის? მისთვის, რომ ეს ორი სიტყვა არის შუაგული, შუა წერტილი ჩვენისა სარწმუნოებისა, ქრისტეს სახარებისა. ქრისტე მოვიდა ქვეყანაზედ სწორეთ მისთვის, რომ თვით საქმით გვაჩვენოს ჩვენ და დაგვარწმუნოს, რომ კაცი არის უკვდავი სულით და ხორცითაც და მოგვამზადოს ჩვენ საუკუნო ცხონებისათვის. ქრისტე აღსდგა და ჩვენც ყოველნი უნდა აღვსდგეთ პირველად აქ, ამ სოფელში ცოდვის ძილისაგან სიწმიდისა და სათნოებისათვის, ხოლო უკანასკნელსა დღესა საუკუნო ნეტარებისათვის.

გარნა მივიქცეთ დღეს წაკითხულისა სამოციქულოისადმი, რომელიც მოგვეითხრობს მოკლესა, მაგრამ მშვენიერსა მოთხრობასა ქვრივსა ტაბითას მკვდრეთით აღდგომისასა. მრავალნი იყვნენ ამ ჟამად ქალაქს იოციას და გარშემო მისა ქვრივნი მიცვალებულნი, გარნა მარტო ტაბითა ღირსა ამისთანა დიდებულსა სასწაულსა და საკვირველებას, რომ იგი აღადგინა მკვდრეთით პეტრემ. რით შეიქმნა ტაბითა ღირსი ამისთანა ღვთის მოწყალებისა? მით, რომ თვითონ იგი იყო სავსე მოწყალებითა და კეთილის მოქმედებითა. თვითონ ღარიბმა და საწყალმა მან შეკრიბნა თავის სახლში მისებრ ქვრივნი და ობოლნი, ასწავლიდა მათ კერვასა და სხვა და სხვა ხელთსაქნარს და ამით არჩენდა და ზრდიდა მრავალთა ქვრივთა და ობოლთა.

ესმა ყოველთა, რომ პეტრე მოციქული ახლოს არს, იმავე ქალაქშიო. და მოუწოდეს მას ქვრივთა მიცვალებულთან და აჩვენებდენ მას ყოველთა მათთა ნაშრომთა და ევედრებოდენ მას ცრემლით უშველოს მას მისითა ლოცვითა. პეტრემ უბრძანა გასვლა იმ ოთახისაგან, მოიდრიკა მუხლი, ილოცა, და ხმითა მაღლითა უბრძანა ტაბითას: აღსდეგ! მიცვალებულმან განიხილა თვალი და დაინახა პეტრე, წარმოსდგა, და პეტრემ წარუდგინა იგი ცოცხალი ყოველთა მუნ მყოფთა.

აი რა ძალა აქვს მოწყალებას და კეთილის-მოქმედებას! იგი აღიწევა ზეცად, ღვთისადმი. როგორც უთხრა იმავე დღეთა შინა ანგელოზმან ასის თავსა კორნელიოს: **ლოცვანი და მოწყალებანი შენი აღიწივნეს ზეცად და მოეხსენეს ღმერთსა**, მოწყალება უდიდესია ყოველთა მსხვერპლთა და შესაწირავთა. იგი თვით ღმერთს გახდის ჩვენ მოვალედ, როგორც არის თქმული ფსალმუნში. დიდ არს სასყიდელი მოწყალისა კაცისა აქაც და მეტადრე ზეცას. **მარადღე სწყალობს და ავასხებს მართალი და ნათესავი მისი კურთხევით იყოს ქვეყანაზედ** (ფსალ. 36, 26), მაგალითად ამისა მოვიყვან აბრაამს და იოსებს, რომელთა მიიღეს კურთხევა, წყალობა და ბედნიერება ღვთისაგან ეინაიდგან იყვნენ კეთილნი და მოწყალე-

ბანი. Თვით ტაბითა რამ აღადგინა, თუ არა ცრემლთა და ლოცვათა ქვრითა და ობოლთა, რომელთაც იგი ზრდიდა? მაგრამ სულიერი ჯილდო მოწყალეთა კაცთათვის უფრო სანატრელია. Ის არის მიტევება ცოდვათა, მაცხოვარი იტყვის: **მიეც წყალობა გლახაკთა და ესე შენი ყოველი წმიდა იყოს.** მაცხოვარი უკანასკნელსა დღესა განკითხვისასა ეტყვის მარჯვენით თვისთა მდგომარეთა: **მოვედით კურთხეულნო მამისა ჩემისანო** და მერმე ჩამოთვლის ყოველთა ქველის საქმეთა და მოწყალებათა, რომელთა იგინი იქმოდენ ქვეყანასა ზედა და წარგზავნის სასუფეველსა ცათასა, ხოლო მარცხენით მდგომარეთა ეტყვის: წარვედით ჩემგან წყეულნო და ჩამოუთვლის, რომ მათ არცერთი კეთილი საქმე არ უქნიათ ქვეყანასა ზედა.

ძმანო მართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო! სიმართლით და პირმოუთნელად რომ ვსთქვათ საზოგადოთ ყოველთა ჩვენ ქვეყანა'ში მცხოვრებთა ძლიერ ნაკლებათ ვიცით ჩვენ მოწყალება, შემწეობა მოყვასთა და მიზეზად ამისა მოვიყვანთ და თავს ვიმართლებთ, რომ ღარიბი ვართ, თავის რჩენა არ შეგვიძლია და სხვას რა შევეწიოთო. ამით თავს ვერ გავიმართლებთ, ღარიბი იყო ტაბითა, მაგრამ მრავალთა ქვრივთა და ობოლთა ზრდიდა. მაგრამ მე იმის თქმა კი არ მინდა, რომ ჩვენ'ში სრულიად არ იყოს მოწყალება და ქველის მოქმედება. Დარწმუნებული ვარ, რომ არა მცირედნი არიან ჩვენშიაც ისეთი პირნი, რომელნიც, შეძლებისა გვარად, ეხმარებიან გლახაკთა და ობოლთა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ გვაკლია ერთნაირი მოწყალება ქველის საქე, რომელიც ეხლა ყოველ განათლებულ ქვეყნებში გავრცელებულია და უმეტესად სასარგებლოა. ჩვენ'ში ასრულებენ მარტო კერძო მოწყალებას, ისიც უმეტეს ნაწილად ნათესავებს ანუ სხვა კერძო პირებს შეეწევიან; რასაკვირველია ესეც კეთილია და პატიოსანი, მაგრამ დიდად სჯობია საზოგადო საყოველთაო ქველის მოქმედება, ე. ი. ისეთი მოწყალება, რომელიც არა ერთს და ორ კაცს შეეწეოდეს ისიც მოკლე ხნით, არამედ მრავალთა პირთა და თითქმის მარადის; ამისთანა ქველის საქმე, მაგალითად, არის ეკკლესიის აღშენების შემწეობა. Ეკკლესია მრავალთა წელთა და საუკუნეთა სდგას და ურიცხვენი პირნი შედიან, ლოცვილობენ და ცხონდებიან მისი შემწეობით. Ანუ მაგალითებრ აშენება, დამყარება და მოწყობა სამკურნალო საქიმო სახლისა, რომელსა შინა ღარიბები უსასყიდლოთ, და სხვანი მცირე ფასით მოიპოვენიან სიმრთელესა, ანუ აღშენება, მოწყობილება და დაწესება სასწავლებლისა მეტადრე ღარიბ კაცთათვის, რომელსა შინა მრავალნი ქრისტიანენი, შთაფლულნი სულიერად უმეცრებასა შინა, და სხვანი ამისთანანი შეისწავლიან სჯულსა, გაისწორებენ ყოფაქცევასა. ვიცი ახლა რას ფიქრობ შენ გულში, ძმაო? ვინ არის ჩვენ ქვეყანაში იმისთანა მდიდარი კაცი, რომ ამისთანა საქმე აასრულოსო. მე გიპასუხებ: მართალია არ არის ჩვენ'ში ამისთანა მდიდარი კაცი, რომ კიდეც იყოს, ვერ გამოიმეტებს, ამისთვის რომ ჩვენ ვართ საცოდავენი სულმოკლენი. მართალია, სხვა განათლებულ ქვეყნებშიაც თუმცა კი არიან ისეთნი პირნი, რომ მარტო მათი საფასით აღშენებენ დიდ ეკკლესიას, ანუ სამკურნალოს და დიდსა სასწავლებელსა, მაგრამ აქაც არა ბევრნი არიან ამისთანაები. Ამის მაგიერად სხვა მოხერხება და საშვალობა იციან. შეადგენენ ამხანაგობას, საზოგადოებას და შეერთებულითა ღონითა და საშვალებითა მოახერხებენ იმას, რაც ერთს და ორ კაცს არ შეუძლია. სირცხვილი არ არის, რომ ამ ჩვენ ქალაქში, რომელიც დიდი მაზრის ანუ გუბერნიის ქალაქია, არ არის არც ერთი სამკურნალო, რომელსა შინა შეეძლოს არა თუ ღარიბს, არამედ თვით შეძლებულ კაცსაც მოიპოვოს კურნება, სირცხვილი არ არის, რომ ჩვენ გუბერნიის ქალაქში აქამომდე არ არის ერთი რამე ძეგლი ხელმწიფე Იმპერატორის და მისი სახლეულობის ცხადი სასწაულით სიკვდილისაგან გადარჩენაზედ. Თუმცა ახლა კი დავიწყეთ ეს საქმე, გარნა მძიმეთ მიდის იგი? Არა, ძმანო ჩემნო! მრავალი რამე ისეთი გვაკლია ჩვენ და ამ ქალაქს, რომელიც არა თუ გუბერნიის ქალაქებში, არამედ თვით უკანასკნელ მაზრის ქალაქებშიაც კი არის; დრო არის გავიღვიძოთ და განვეხვნევდეთ.

# სასარგებლო ცოდნა.

## ობი როგორ გადადის ერთი ვენახიდგან მეორეში.

ობის მიზეზი ის არის, რომ ვაზზედ, ვაზის მწვანე ნაწილებზედ შიგ აგებულებაში პაწია სოკო ჩნდება. ეს სოკო შესდგება სოკოს ბუდისაგან, რომელიც ფოთლისა ანუ ნორჩი რქების უჯრედებს შორის იბუდებს, აქედამ კონა-კონად გამოდის გარეთ და ზედ ბურთის მსგავსი პაწია სხეულები უსხედან, რომელთა საშუალებითაც ვრცელდება ეს სოკო. ამგვარი ბურთები თითო ვაზზედ ძალიან მრავალია.

როდესაც ეს ბურთები, რომელთაც ზაფხულის თესლს უწოდებენ, დამწიფდებიან, მაშინ ღეროებს ჰშორდებიან და ნიავს სხვა ვაზებზედ და სხვა ვენახებში გადააქვს. ეს პაწია სხეულები ისეთი მსუბუქნი არიან, რომ ძალიანს ნელს ნიავს შეუძლიან კარგა შორს მანძილზედ გადაიტანოს. ეს ბურთი (სათესლე პარკი) ვაზის ფოთოლს თუ მოჰხვდება და ვაზის ფოთოლზედ წვიმის ცვარს ან ნამს შეჰხვდება და, საზოგადოდ, თუ ხელის შემწყობი გარემოებანი შეჰხვდება, მაშინვე აღორძინებაში შედის და სოკოს ბუდეს აჩენს; ამგვარად ვაზს ობი მოედება ხოლმე. ხოლო თუ ცივა ან ძალიან მშრალი ამინდია, ე. ი. ობის გაძლიერებისათვის ხელის შემშლელი პირობანი შეჰხვდა, მაშინ გადატანილი თესლი ველარა ხეირობს, ვაზის აგებულებაში ველარა შედის, ველარ ძლიერდება და აღორძინების ნიჭსაც ჰკარგავს.

---

## ვაზის წამლობა.

აქამდის ჩვენ ობის გაჩენაზედ ვლაპარაკობდით და იმ ნიშნებზედ, რომლებითაც ვაზზედ ობის გარჩევა შეიძლება; აგრეთვე იმაზედაც ვსთქვით, თუ რა უწყობს ანუ რა უშლის ხელს ამ სენის გაძლიერებას, თუ დასუსტებას და როგორ გადადის იგი ერთი ვენახიდგინ მეორეში. ეხლა მხოლოდ რამდენიმე სიტყვა დაგვრჩენია სათქმელი იმაზედ, თუ როგორ უნდა ებრძოლოს კაცი ამ სენს და რითი შეიძლება მისი წამლობა.

გამოცდილება და მეცნიერება დაეხმარა მევენახეთ და იმისთანა წამლები, ანუ უკეთა ვსთქვათ, საწამლავები მოიგონა, რომლებიც ობის გამჩენს სოკოს აქრობენ. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ყველა სენს წამლობა თავის დროზედ უნდა იმ წამსვე, რა წამს ავადმყოფობის მიზეზი გამოჩნდებიან, თორემ, თუ დააცადეს და ავადმყოფობა გაძლიერდა, მაშინ წამალი ბევრს ველარას უშველის. ობის შესახებაც ასეა: რა წამს შეემჩნევა ვაზს, მაშინვე ხელი უნდა მიჰყონ წამლობას, მით უფრო, რომ თუ გაუჩნდა ძალიან სწრაფად მოედება ხოლმე მთელს ვენახს და ძალიან პატარა ხანში ძლიერდება და ჰმუსრავს ვაზს. მაგრამ, რადგანაც ობის გაძლიერებამდის შეიარაღებული თვალით მისი ნიშნების შემჩნევა შეუძლებელია, ამიტომ საჭიროა წამლობა წინადვე დაიწყონ. დაკვირვებით გამორკვეულია, რომ ობი პირველად მხოლოდ მაისის თთვის პირველ რიცხვებში აჩნდება ვაზს და ამიტომ ამ დროიდგან უნდა დაიწყოს წამლობა. ესე უნდა მოიქცეს ყველა მევენახე, თუ წინა წელში მის ვენახში, ანუ მახლობლად არსებობდა ეს საშინელი სენი; მხოლოდ ამით შეიძლება აიცილოს თავის ვენახს ავადმყოფობა.

ობის მოსაწამლავად სხვა და სხვა გვარს წამალს ამზადებენ. აქ ჩვენ ავსწერთ ერთგვარს წამალს, რომელიც უკეთესი და უფრო ადვილი მოსამზადებელია და იაფადაც ჯდება. ამ წამალს სპილენძის შაბიამანისაგან აკეთებენ. შაბიამანი წმიდა უნდა იყოს და მთლად ლურჯი ფერისა, რადგანაც თუ სხვა რომელიმე ფერი დასცემს, შაბიამანი წმიდა არ იქნება და ობზედ ისე კარგად ვერ იმოქმედებს, როგორც წმიდა სპილენძის შაბიამანი მოქმედებს.

სპილენძის შაბიამანისაგან ობის საწამლავს ასე ამზადებენ:

აი რა ზომებით უნდა შეზავდეს ბორდოსის წვენი:

ერთ თუნგ წყალში უნდა გაილესოს და გაიხსნას სამ გირვანქა ნახევარი ქვა-კირი და როცა ეს კირ-წყალი გაცივდება,—ჩაერიოს ოც-და-ოთხ თუნგ წყალში, რომელშიაც წინადვე შეიდ გირვანქა ნახევარი სპილენძის შაბიამანი უნდა იყოს გახსნილი; ეს შეზავება კარგად უნდა აირიოს ჯოხით და ისე იხმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რონ. ერთს დღიურზე ორმოც-და-ათ თუნგამდე წვენი მოუნდება თითო შესხმაზედ, ხოლო ამ ორმოც-და-ათ თუნგზედ თხუთმეტი გირვანქა სპილენძის შაბიამანი მოუნდება და შვიდი გირვანქა კირი. ასე რომ, ერთი დღიური ვენახის წამლობა დაახლოვებით დაჯდება: ერთხელ რომ უწამლონ ვაზს—ორი მანეთი და სამი აბაზი, სამჯერ—შვიდი მანეთი და ოთხი აბაზი.

ამ საწამლავს უწოდებენ «ბორდოსის წვენს“.

«ბორდოსის წვენი» შეიძლება ბლომად მომზადდეს და ისე შეინახო კათხებში ან სხვა რამე ჭურჭელში, გინა ქვევრებში.

აი ამგვარად და ამ ზომებით მომზადებული წამლით აპკურებენ ვაზებს და მით გადაარჩენენ ხოლმე ვენახს ამ ჭირისაგან. მაისის თვის პირველ რიცხვებში, თუ მოელიან ამ სენის გაჩენას, ანუ როდესაც უკვე გამოჩნდება ობი, იმ წამსვე მთელს ვენახს უნდა დაუარონ და აპკურონ წამლით ყოველი ვაზი. რადგანაც სოკო ფოთოლზედ და ვაზის მწვანე ნაწილებზედ სცხოვრებს და მრავლდება, ამიტომ წამალი ამ მწვანე ნაწილებს უნდა შეასხან, ნამეტნავად ფოთლის ზედა-პირი სულ მთლად უნდა იყოს მოფენილი წამლით.

წამლის შესხმისათვის სხვა და სხვა ნაირი მანქანებია მოგონილი; წამლის შესხმა უმანქანოდაც შეიძლება, სუფთა ცოცხით: წამალს გეჯაში ანუ რამე ჭურჭელში ჩაასხამთ, შიგ ცოცხს დაასველებთ და შეაპკურებთ ვაზს, ისე-კი, რომ ყველა ფოთლები დაუსველდეს ვაზს, და უფრო ზევითა პირი. მაგრამ, ცოცხით შესხმული წამალი ტყუილ-უბრალოდ ბევრი იკარგება და ისეც ვერ მოედება ფოთოლს, როგორც საჭიროა. ამიტომაც განსაკუთრებული მანქანები მოიგონეს. ყველაზედ კარგი და იაფი ამათში ვერმორელის მანქანაა. ეს არის სპილენძის ყუთისებური სამ-ოთხ თუნგიანი ჭურჭელი, რომელსაც კაცი თასმებით გუდასავით ზურგზედ იკიდებს; ამ ყუთს ლულა აქვს და ზედ რეზინის მილი აბია; წამალი ამ მილით გამოდის და პატარა იარაღში შედის, რომელიც მარცხენა ხელში უჭირავს კაცს და ვაზებს უმარჯვებს; ხოლო მარჯვენა ხელში მანქანის ერთ ნაწილს ამოქმედებს, რომლის შემწეობითაც ჭურჭლიდგან მუდმივ ჰდენს წამალი. ამ მანქანიდგან წამალი ძლიერ წვრილ ტოტებად გამოდის, მტვერის მსგავს წინწკლებად იშლება და თანაბარად ასველებს ფოთოლს, წამალიც ტყუილ-უბრალოდ აღარ იკარგება. ამასთან ძალიან უბრალო მოწყობილობისაა და ყოველ მევენახეს ადვილად შეუძლიან მისი ხმარება. დღეში ამ მანქანით 3—4 დღის ვენახს შემოუვლის მუშა.

ამგვარი წამლობა ზაფხულის განმავლობაში სამჯერ უნდა მოახდინონ, რომ ობმა სრულიად ვერ შეიძლოს მიეკაროს ვენახს, ასე: პირველად მაისის პირველ რიცხვებში აპკურებენ ხოლმე, მეორედ—თიბათვის ნახევარში, მესამედ—მარიამობის უკანასკნელს რიცხვებში, და, კარგი იქნება, ერთხელაც—რთველის შემდეგ.

წამლობისათვის უქარო და უწვიმო ამინდი უნდა აირჩეს, რომ წამალი არ ჩამოირეცხოს ფოთლებიდგან. პატარა ჟუჟუნა წვიმა-კი არ უშლის წამლობას. თუ ამინდის დიდი ხანი ხელს არ გიწყობსთ, მაინც უნდა შეასხათ წამალი, მაგრამ ამ შემთხვევაში მეორე წამლობა უნდა დააჩქაროთ.

ახლა მეტი არ იქნება გამოვიანგარიშოთ, რამდენი მასალა მოუნდება და რა დაჯდება ერთი დღიური ვენახის წამლობა «ბორდოსის წვენით».

ერთ დღიურისათვის საჭირო იქნება:

| | |
|---|---|
| სპილენძის შაბიამანი . . . | 10 გირვანქა, |
| კირი . . . . . . . . | $2^1/_2$ » |
| წყალი . . . . . . . . | 200 თუნგი, |

ხოლო თუ სამჯერ აპკურებენ ვენახს, საჭირო იქნება:

| | |
|---|---|
| სპილენძის შაბიამანი . . | 30 გირვანქა, |
| კირი . . . . . . . . | $7^1/_2$ » |
| წყალი . . . . . . . . | 600 თუნგი, |

ერთი ფუთი სპილენძის შაბიამანი ღირს 6 მ., და 60 კ., მაშასადამე 30 გირვანქა—4 მან.—95 კ., კირიც რომ ფუთი 50 კ., ჩავაგდოთ $7^1/_2$ გირ. ღირება სულ 10 კ., თუმცა მომეტებულ შემთხვევაში კირის შოვნა უფასოდაც შეიძლება. მაინც და მაინც ათ შაურადაც რომ ვიანგარიშოთ ფუთი, ერთი დღიურის წამლობა მთელი ზაფხულის განმავლობაში სულ 5 მანეთი და 5 კაპიკი. დაჯდება. წყლის ფასი აქ, რასაკვირველია, ანგარიშში არ ჩაგვიგდია. წყლის შესასხმელი მანქანა ღირს 18 მანეთი. (გაზ. «მეურნის» დამატება).

## მღვდელთა საყურადღებოდ.

---

**როდესაც აღდგომა არის აპრილის პირველს, მაშინ იქმნება:**

| | | |
|---|---|---|
| მაისის | ვ | კვირიაკე ბრმისა. |
| — | ი | ამაღლება. |
| — | იგ | კვირიაკე წმიდათა მამათა. |
| — | კ | სულის წმიდის მოსვლა. |

| თთვე | რიცხვი | ულ. გ. წმიდ. კვირიაკე. | ხმა | სახარება. |
|---|---|---|---|---|
| მაისის | კზ | ა | ჱ | ა |
| იენისის | გ | ბ | ა | ბ |
| — | ი | გ | ბ | გ |
| — | იზ | დ | გ | დ |
| — | კდ | ე | დ | ე |
| ივლისის | ა | ვ | ე | ვ |
| — | ჱ | ზ | ვ | ზ |
| — | იე | ჱ | ზ | ჱ |
| — | კბ | თ | ჱ | თ |
| — | კთ | ი | ა | ი |
| აგვისტოს | ე | ია | ბ | ია |
| — | იბ | იბ | გ | ა |
| — | ით | იგ | დ | ბ |
| — | კვ | იდ | ე | გ |
| სეკტემბრის | ბ | იე | ვ | დ |
| — | თ | ივ | ზ | ე |
| — | ივ | იზ | ჱ | ვ |
| — | კგ | იჱ | ა | ზ |
| — | ლ | ით | ბ | ჱ |
| ოქტომბ. | ზ | კ | გ | თ |
| — | იდ | კა | დ | ი |
| — | კა | კბ | ე | ია |
| — | კჱ | კგ | ვ | ა |
| ნოემბრის | დ | კდ | ზ | ბ |
| — | ია | კე | ჱ | გ |
| — | იჱ | კვ | ა | დ |
| — | კე | კზ | ბ | ე |
| დეკემბრის | ბ | კჱ | გ | ვ |
| — | თ | კთ | დ | ზ |
| — | ივ | ლ | ე | ჱ |
| — | კგ | ლა | ვ | თ |
| — | ლ | ლბ | ზ | ი |

## რედაქციის პასუხი.

მღვდელს ჰ. კვარ—იას. როგორც ითხოვეთ, ჩვენც ისე დავ-ბეჭდეთ თქვენი ადრესი. თქვენ სთხოვეთ ფოსტის უფროსს და ვისაც მიანდობთ, ისიც იმას გამოატანს ხოლმე თქვენდამი გადმოსაცემად.

დ. ვერ—ლს. თქვენი პასუხი ძლიერ დაგვიანებულია და არ იბეჭდება.

მღვ. მ. გ. ჯ—ბას. შვილის მამასთან განწესება მედავითნედ აკრძალულია.

მღვ. ჰ. კვარ—იას. თქვენგან გამოგზავნილი ხელნაწერის «სჯულის კანონის» დაბეჭდვა არ შეიძლება.

სიღნაღის მაზრა. შინაურს. ჩვენც დიდათ გვაწუხებს ის სამწუხარო მოვლენანი, რომელნიც თქვენ ასე ცხადათ შეგინიშნავსთ. ღმერთსა გსთხოვთ—უარესისაგან დაგვიფაროს!.. რედაქციის მადლობის და ქების მიზანი და მნიშვნელობა სხვებსავით ვერც თქვენ გაგიგიათ. ყოველს ჩვენს მოქმედებაში სახეში გვაქვს სარწმუნოება, კეთილზნეობა და მამულის სარგებლობა და არა ჩვენი პირადი; ამას აშკარად დაინახავს ყველა, თუ ორივე თვალებით და გონებით ბრმა არ არის.

---

უმაღლესად დამტკიცებული „რუსეთის საზოგადოება» თანხის და შემოსავლის დაზღვევისა, დაარსებული 1835 წელს.

საზოგადოება უზღავს

1., თანხას შვილებისათვის, ანუ სხვა მემკვიდრეებისათვის, ვინიცობაა დამზღვევი გარდაიცვალა.

2., თანხას, რომელიც შეუძლიან თვითონ დამზღვეველმა მიიღოს, როცა მოხუცდება.

3., თანხას, რომელიც მიეცემა დამზღვეველს აღნიშნულ ხნის შემდეგ, როცა თვითონ დასჭირდება შვილების დასაბინავებლად, ანუ ქალებისათვის სამზითვოდ.

4., პენსიას სიკვდილამდის, სამკვდროს და სხვა...

უმთავრესი აგენტი და ინსპექტორი კავკასიაში ნ. გრუზენბერგი. ფოსტის და დეპეშის ადრესი: Грузенбергу Тифлисъ.

(10—2)

# ისყიდებიან

დეკანოზი დავით ღამბაშიძისაგან შედგენილი და გამოცემული წიგნები:

**თბილისში**, ზრიქუროვის, ჩარკვიანის და ცენტრალურ წიგნის მაღაზიებში, **ქუთაისში**—ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, **ოზურგეთში**—ლომკაცი აბაშიძის და იოსებ ხელაძის წიგნის მაღაზიაში, **ხონში**—წერეთლის წიგნის მაღაზიაში და **ყვირილაში**—თვით გამომცემელთან.

1) დარიგება საღმრთო სჯულის სწავლებაზედ, რომელიც უწმიდესი სინოდისაგან მოწონებულია როგორც სასწავლო საღმრთო სჯულისა საეკკლესიო-სამრევლო და სხვა პირველ დასაწყის სკოლებში.—ფასი . . . . 30 კ.
2) იგივე **დარიგება საღმრთო სჯულის სწავლაზედ** რუსულს და ქართულს ენაზე 50 კ.
3) საქართველოს საეკკლესიო ისტორია ფასი უდით . . . . . 45 კ.
4) ქართული ლოცვანი, თვეთა მეტყველებით, ქორონიკონით და მართლმადიდებელი ეკკლ. უმთავრესი დღესასწაულების მოთხრობით.—ფასი . 30—
5) ახალი კარაბადინი, რომელიც განხილული და ნება-დართულია კავკასიის საექიმო რჩევისაგან.—ფასი . . 1 მან.
6) **მღვდელთათვის საიდუმლოების შესრულების დროს საჭირო სახელმძღვანელო წიგნი**—ფასი უდით . . . . 30 კ.
7) ახალი სასულიერო კონსისტორიათა წესდებულება.—ფასი უდით . . 50—
8) მცხეთის ტაძარი და წმიდა ნინო, ქართველთ განმანათლებელი,—ფასი . 25—
9) გელათის მონასტერი და ცხოვრების აღწერილობა მეფის დავით აღმაშენებელისა.—ფასი . . . . 30—
10) წმ. მოწამენი დავით და კონსტანტინე და მოწამეთის მონასტერი.—ფასი . 5—
11) წმიდანი მღვდელ-მთავარნი: ვასილი დიდი, გრიგორი ღვთის-მეტყველი და იოანნე ოქროპირი, სურათებით—ფასი 5—
12) მირქმა უფლისა, სურათით.—ფასი . 2—
13) დიდ-მარხვის წინ, სურათით.—ფასი . 2—
14) ხარება ყოვლად წმიდა ღვთის-მშობლისა სურათით.—ფასი . . 2—
15) ბზობა სურათით—ფასი . . . 2—
16) აღდგომა სურათით—ფასი . . 2—
17) პონტოელი პილატეს მეუღლის წერილი თავის მეგობარ ქალთან . . . 5—
18) მეფე სოლომონ-ბრძენი სურათით—ფ. 5—
19) ცხოვრების აღწერა წმ. მოც. სწორის დიდის მთავრის ვლადიმირისა . 2—
20) **წმიდა ნინა ქართველთ-განმანათლებელი** . 2—
21) **შიო-მღვიმის მონასტერ და ცხოვრების აღწერა ღირსისა მამისა ჩვენისა შიოსი** სურათით—ფასი . . . . —5
22) მიძინება ყოვლად წმიდა ღვთის-მშობლისა, სურათით—ფასი - . 2— კ.
23) ამაღლება პატიოსნისა და ცხოველ-მყოფელისა ჯვარისა უფლისა სურათით 2—
24) ღვთის-მშობლის დაბადება—სურათით . 2—
25) ტაძრად მიყვანება ღვთის-მშობლისა 2—
26) ესთერი სურათით.—ფასი . . 5—
27) წმ. მოწამე რაჟდენი—სურათით ფასი 5—

ვინც ზემო აღნიშნულ წიგნებს გამოიწერს არა ნაკლებ ერთი თუმნისა, მას მანეთზე დაეთმობა 15 კ.

ვინც 2 კ. წიგნაკებს დაიბარებს არა ნაკლებ ასი ცალისა, ის ფოსტით გასაგზავნს არ იხდის.

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. *Доз. цензурою Кутаисъ, 29 Апрѣля 1890 г.*

Типографія редакціи (П. Д. Гамбашидзе) Въ Кутаисѣ, помѣщ. въ домѣ бр. Ханановыхъ на Нѣмецкой ул.